სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

02 ივლისი, 2025 წ

ბრძანება N 01-02/140

2025-2026 სასწავლო წლისთვის თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტში საერთაშორისო მობილობისთვის ბსუ-ს სტუდენტების გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, ,,ERASMUS + საგრანტო პროექტისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (№795941, 01.07.2025 წლის) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ,,ერაზმუს+“ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტში (საბერძნეთი) 2025-2026 სასწავლო წლისათვის საერთაშორისო მობილობის მონაწილე **სტუდენტების გამოსავლენად გამოცხადდეს კონკურსი** და განისაზღვროს შემდეგი ვადები:

1.1. **კონკურსში მონაწილეობის მსურველი ბსუ-ს სტუდენტების მიერ - ელექტრონულად, ბმულზე - https://registration.bsu.ge/Registration-2.php და ბსუ-ს სტუდენტური პორტალის მეშვეობით** წარმოდგენილი **საკონკურსო დოკუმენტაციის** (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული) **მიღება - 2025 წლის 02 ივლისიდან 22 ივლისის ჩათვლით (15:00 საათამდე);**

1.2. ტესტირება/გამოცდა ინგლისურ ენაში (B2 დონე) - **2025 წლის 24 ივლისი, 16:00 საათი,** ბსუ-ს საგამოცდო ცენტრი, ბსუ-ს №4 კორპუსი, მის: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ.№12 (**შენიშვნა:** უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის არსებობის შემთხვევაში, კონკურსანტი თავისუფლდება ტესტირებიდან);

1.3. გასაუბრება კომისიასთან - **2025 წლის 25 ივლისი (10:00 საათიდან);**

1.4. ბსუ-ში ჩატარებული კონკურსის შედეგად ნომინირებული სტუდენტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მიმღები უნივერსიტეტისთვის - **არაუგვიანეს 2025 წლის 28 ივლისისა.**

2. დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით **საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:**

ა) ტიტე არუშიძე - რექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
ბ) მერაბ ხალვაში - თავმჯდომარის მოადგილე, რექტორის მოადგილე;
გ) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე;
დ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ე) მარინე გიორგაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;

ვ) ლელა თურმანიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;

ზ) თეონა ბერიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

თ) ნათელა წიკლაშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;

ი) გაიოზ ფარცხალაძე - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი;

კ) რუსუდან ხუხუნაიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი;

ლ) ირაკლი კორძაია - ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი;

მ) ლევან ჯაყელი - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

3. კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით'' და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს -ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.

6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არაშიძე